# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000015262870117

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 63 06 / ნოემბერი / 2017 წ.

## განკარგულება

### ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მასალების, ა.ა.ი.პ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" ბალანსზე გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ააიპ "სამოქალაქო განვითარების" სააგენტოდან მიღებული 40508 (ორმოციათას ხუთას რვა) ლარის ღირებულების მასალების, ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" ბალანსზე გადაცემა თანდართული ცხრილის მიხედვით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი